**ELT BUILDING LLC**
ID: 445 471 285
Batumi #18 R. Nizharadze
Tel: +995 422 22 22 32

To: Azimut Benetti Group
Adress: Via Martin Luther King 9/11 - 10051 Avigliana, (Torino) - Italia
Email: customercare@azimutbenettigroup.com

From: „ELT BUILDING" LLC (I/N: 445471285)
Address: Batumi #18 Rejeb Nizharadze Street,
Director, Mamuka Makharadze (P/N: 61010001635)

# STATEMENT

We would like to inform you that on 12th of September, 2024, during a program on the well-known Georgian television channel "TV Pirveli", Giorgi Chikvaidze, the director of „Ramses Georgian Yachting Platform" LLC, stated that a criminal prosecution had been initiated against him as what he described on absurd grounds. He made a statement based on several false facts and tried to create a political motivation behind the criminal law case. In light of this, we feel obligated to provide you with the following information so that you can familiarize yourself with the details of the case and evaluate for yourself the interview with the accused, Giorgi Chikvaidze, which was primarily aimed at spreading disinformation. We feel it is important to clarify that Elt Business Group is a wholly apolitical business entity and has never engaged in any political activities.

First, we would like to remind you that Elt Building LLC has entered into the Georgian construction and development sector in 2017 and quickly established a reputation as a reliable partner. As of today, we have successfully completed numerous projects and the company operates in the cities of Batumi and Tbilisi. Since its establishment, the company collaborates with renowned international brands such as Wyndham Hotels & Resorts, River Rock Hotels & Resorts, and IPM OE. Starting in 2024, Elt Building LLC became the exclusive preferred partner of the renowned Barceló Hotel Group in Georgia, marking a significant milestone for the company. These partnerships highlights our commitment to innovation, high standards, and transparent relations, as well as our Western orientation and close collaboration with Western partners.

Regarding the details of the case, Elt Building LLC announced the construction of a new project, the multi-functional residential complex "Marinca Club," located on the beachfront. Given the prime location of the complex, management decided to establish an yacht club on the beach to promote tourism and marine sports. Photo renderings of the proposed yacht club were posted on the

**ELT BUILDING LLC**
ID: 445 471 285
Batumi #18 R. Nizharadze
Tel: +995 422 22 22 32

company's official websites for advertising and marketing purposes. In May 2022, Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili approached the company's sales manager, appearing genuinely interested in purchasing apartments in our complex. To build trust and enhance their credibility, they signed a real estate pre-purchase agreement, which included a deposit of 500 USD for each. Following this, Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili disclosed their true intentions and requested meeting with the company's Founder, Elguja Turmanidze, and the Commercial Director, Valeri Gurgenadze. They introduced themselves as representatives of an Italian yacht manufacturing company in Georgia and offered to assist with the purchase and transportation of yachts through their company. Based on these negotiations, on 10th of September, 2022, a yacht purchase agreement was signed between Elt Building LLC and Ramses Georgian Yachting Platform LLC. The delivery deadline for the yacht was set for August 31, 2023, Batumi was designated as the delivery location. Once the yacht would arrive in Batumi and registered in the name of Elt Building LLC, Ramses Georgian Yachting Platform LLC would lease the yacht for a period of three years, with the lease fee paid to Elt Building LLC annually. Under the terms of the contract, Elt Building LLC, as a bona fide buyer, fully met its obligations by transferring a total of **1,155,019** GEL to Ramses Georgian Yachting Platform LLC between September 15, 2022, and April 27, 2023. However, despite this, Ramses Georgian Yachting Platform LLC failed to deliver the subject of purchase. The seller cited various reasons for being unable to deliver the yacht, claiming that it had several issues. As a result, the parties reached an agreement and signed a contract to change the subject of the purchase. Instead of the AZIMUT ATLANTIS 45 2023, the new subject of purchase was designated as the CRANCHI M44 HT, with a delivery date set for September 20, 2023, in Alicante, Spain. This clearly served to artificially postpone the seller's deadline for fulfilling the obligation, rather than facilitating the delivery of the yacht without defects to the buyer. It is significant to note that as of September 20, 2023, the subject of the purchase had still not been transferred to our company. Despite numerous phone calls and written communications, the specific timeline for when Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili would deliver the yacht or refund the amount paid remained unclear. Therefore, it is evident that the substantial sum of money we paid was unlawfully appropriated. The misappropriation of funds is further evidenced by the fact that for nearly two years, no payments have been made to the yacht manufacturing company. Throughout this period, Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili consistently deceived the managers of Elt Building LLC with various fabricated reasons. They provided false dates for the yacht's import to Georgia, and sent misleading videos and locations, but never contacted the yacht manufacturer or transferred any funds to them. Instead, the money we paid for the yacht was used by Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili to settle debts with other creditors and for their personal expenses.

**ELT BUILDING LLC**
ID: 445 471 285
Batumi #18 R. Nizharadze
Tel: +995 422 22 22 32

Based on the above circumstances, and after we were sure, we could not resolve the issue through mutual negotiations, we took actions to protect our legal interests. In January 2024, we submitted a request to the Prosecutor's Office of Georgia to initiate a criminal case against the individuals mentioned, given the signs of an alleged crime under the legislation of Georgia were in the actions of Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili.

In connection with this case, the investigative service of the Ministry of Finance initiated a criminal case against Giorgi Chikvaidze and Irakli Papiashvili. They are accused of offenses under Article 182, Part 2, subsections "a" and "d" of the Criminal Code of Georgia, as well as section 3, subsection "b" of the same article. These charges indicate that Irakli Papiashvili and Giorgi Chikvaidze engaged in the illegal appropriation of substantial property belonging to others, carried out by a group acting in a prior agreement and utilizing their official positions. As of today, a restraining measure has been applied to the mentioned persons, the court has considered, based on the standard of reasonable presumption, that the act defined by the presented charge was committed by the mentioned persons (see the attached document). Given the severity of the actions committed, this crime falls into the category of particularly serious offenses, with penalties that include imprisonment for a term of 7 to 11 years.

Based on all of the above, Giorgi Chikvaidze's statements on the television are false and appear to be an attempt to portray himself as politically oppressed. This narrative is completely inconsistent with the objectives of the current dispute. In doing so, he seeks to evade criminal responsibility and mislead the public, including you. According to the above, his statements lack any real facts or supporting evidence. Each issue mentioned in this letter reflects reality and is backed by indisputable evidence, all of which have also been submitted to the court.

The purpose of sharing this information is to ensure you have a complete understanding of the matter at hand, allowing you to make an informed decision if necessary.

**Sincerely,**
**Director of „ELT BUILDING" LLC,**
**Mamuka Makharadze**

**09.10.2024**

GEORGIA, LIMITED LIABILITY COMPANY "ELT BUILDING"
ELT
445471285

info@eltbuilding.ge

შპს "ელთ ბილდინგი"
სნ: 445 471 285
ქ. ბათუმი, რ.ნიჟარაძის 18
ტელ: +995 422 22 22 32

აზიმუტ ბენეტტი გრუპს
მის: ვია მარტინ ლუთერ კინგი 9/11 -10051 ავიგლიანა (ტორინო) -იტალია
ელ.ფოსტა: customercare@azimutbenettigroup.com

შპს „ელთ ბილდინგის" (ს/ნ: 445471285)
მის: ქ. ბათუმი, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩა N18,
დირექტორის, მამუკა მახარაძის (პ/ნ: 61010001635)

## წერილობითი მიმართვა

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის 12 სექტემბერს ერთ-ერთ ცნობილ ქართულ სატელევიზიო კომპანია „ტვ პირველის" გადაცემაში, შპს "რამსეს ჯეორჯიან იახტინგ პლათფორმის" დირექტორმა, გიორგი ჩიკვაიძემ განაცხადა, რომ მასთან დაკავშირებით აბსურდული საფუძვლით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. მან არაერთ მტკნარ ფაქტზე აგებული განცხადება გააკეთა და სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეს შესძინა პოლიტიკური სარჩული, რის საფუძველზეც, თავს ვალდებულად ვთვლით, მოგაწოდოთ ქვემოაღნიშნული ინფორმაცია, რათა გაეცნოთ საქმის დეტალებს და თავად შეაფასოთ ბრალდებული გიორგი ჩიკვაიძის ინტერვიუ, რომელიც სრულად ემსახურებოდა დეზინფორმაციის გავრცელებას. აქვე, საჭიროდ მივიჩნევთ, გაცნობოთ, რომ ელთ ბიზნეს ჯგუფი გახლავთ სრულად აპოლიტიკური ბიზნეს სუბიექტი და მას არასდროს მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის პოლიტიკურ პროცესებში.

პირველ რიგში, მოგახსენებთ, რომ შპს "ელთ ბილდინგი" 2017 წელს შემოვიდა ქართულ სამშენებლო-დეველოპერულ ასპარეზზე და სწრაფად მოიპოვა სანდო პარტნიორის რეპუტაცია, დღეისათვის განხორციელებული გვაქვს არაერთი წარმატებული პროექტი და კომპანია ოპერირებს ქალაქ ბათუმსა და თბილისში. დაფუძნებიდან დღემდე კომპანია თანამშრომლობს ისეთ ცნობილ საერთაშორისო ბრენდებთან, როგორიცაა: Wyndham Hotels & Resorts, River Rock Hotels & Resorts, IPM OE. მათ შორის, 2024 წლიდან, საქართველოში პირველად, შპს „ელთ ბილდინგი" გახდა ცნობილი "Barceló Hotel Group"-ის რჩეული პარტნიორი ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობით. აღნიშნული პარტნიორობა ხაზს უსვამს ჩვენს ერთგულებას ინოვაციების, მაღალი სტანდარტებისა და გამჭვირვალე

ურთიერთობებისადმი, აგრეთვე, ჩვენს დასავლურ ორიენტაციას და დასავლელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

რაც შეეხება უშუალოდ საქმის დეტალებს, შპს „ელთ ბილდინგმა" დაანონსა ახალი პროექტის, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი "Marinca Club"-ის მშენებლობა, რომელიც ზღვის პირველ ზოლში მდებარეობს და რადგან კომპლექსის ლოკაცია იძლეოდა შესაძლებლობას, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება სანაპიროზე მოეწყო იახტ კლუბი, რომელიც ხელს შეუწყობდა, ტურიზმისა და საზღვაო სპორტის განითარებას. აღნიშნული იახტ კლუბის მოწყობის ფოტორენდერები განთავსდა კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე, სარეკლამო-მარკეტინგული მიზნებისთვის. 2022 წლის მაისის თვეში კი, გიორგი ჩიკვაიძე და ირაკლი პაპიაშვილი, დაუკავშირდა კომპანიის გაყიდვების მენეჯერს, თითქოსდა ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენს კომპლექსში აპარტამენტების შეძენით. ნდობის მოპოვებისა და მეტი დამაჯერებლობისთვის მათ გააფორმეს კომპანიასთან უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თითოეული მყიდველის მიერ ჩარიცხულ იქნა 500 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულის შემდგომ გიორგი ჩიკვაიძემ და ირაკლი პაპიაშვილმა გამოავლინეს მათი ნამდვილი ჩანაფიქრი და მოითხოვეს კომპანიის დამფუძნებელ, ელგუჯა თურმანიძესთან და კომერციულ დირექტორ, ვალერი გურგენაძესთან შეხვედრა. მათ თავი გააცნეს, როგორც იტალიაში არსებული ერთ-ერთი იახტების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებად საქართველოში და შესთავაზეს მათი კომპანიის გავლით დახმარება იახტების შეძენასა და მის ტრანსპორტირებაში. აღნიშნული მოლაპარაკებების საფუძველზე, 2022 წლის 10 სექტემბერს, შპს „ელთ ბილდინგსა'' და შპს „რამსეს ჯორჯიან იახტინგ პლატფორმს" შორის გაფორმდა იახტის ნასყიდობის ხელშეკრულება, იახტის მიწოდების ვადად კი 2023 წლის 31 აგვისტო, მიწოდების ადგილად ქალაქი ბათუმი განისაზღვრა. მას შემდეგ კი, რაც იახტა ჩამოვიდოდა ქ. ბათუმში და გაფორმდებოდა შპს „ელთ ბილდინგის" სახელზე, ყოველწლიურად შპს „ელთ ბილდინგისთვის" იჯარის საფასურის გადახდის პირობით, „რამსეს ჯორჯიან იახტინგ პლატფორმა" იახტას 3 წლის ვადით იჯარით აიღებდა. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ელთ ბილდინგმა", როგორც კეთილსინდისიერმა მყიდველმა ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 2022 წლის 15 სექტემბრიდან - 2023 წლის 27 აპრილამდე პერიოდში, შპს „რამსეს ჯორჯიან იახტინგ პლატფორმს" გადაურიცხა ნასყიდობის საგნის ღირებულება ჯამში **1 155 019** ლარის ოდენობით, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, შპს "რამსეს ჯეორჯიან იახტინგ პლატფორმამ" არ შეასრულა ნასყიდობის საგნის გადაცემის ვალდებულება. გამყიდველი ასახელებდა იახტის ვერ ჩამოყვანის სხვადასხვა მიზეზს, თითქოსდა იახტას გააჩნდა რიგი პრობლემები, ამიტომ, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას და გააფორმეს ხელშეკრულება ნასყიდობის საგნის ცვლილების

შპს "ელთ ბილდინგი"
სნ: 445 471 285
ქ. ბათუმი, რ.ნიჟარაძის 18
ტელ: +995 422 22 22 32

შესახებ (ნაცვლად AZIMUT ATLAATIS 45 2023-ისა, ნასყიდობის საგნად განისაზღვრა CRANCHI M44 HT, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 20 სექტემბერი, ქ. ალიკანტეში, ესპანეთი. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა გამყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის ხელოვნურად გადავადებას და არა გამართული, მწყობრში მყოფი იახტის მიწოდებას მყიდველისათვის. საგულისხმოა, რომ არც 2023 წლის 20 სექტემბერს არ განხორციელდა ნასყიდობის საგნის ჩვენი კომპანიისთვის გადაცემა. არაერთი სატელეფონო თუ წერილობითი კომუნიკაციის მიუხედავად, კონკრეტული ვადა, თუ როდის მოგვაწოდებდა გიორგი ჩიკვაიძე და ირაკლი პაპიაშვილი იახტას ან დააბრუნებდა მათთვის ამ მიზნით გადახდილ თანხას უცნობი იყო. შესაბამისად, ცხადია, რომ ჩვენ მიერ გადახდილი დიდი ოდენობით თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს. თანხის მითვისების ფაქტს ადასტურებს ის გარემოება, რომ მათი მხრიდან თითქმის ორი წლის განმავლობაში არცერთი თეთრის გადარიცხვა იახტების მწარმოებელი კომპანიისთვის არ მომხდარა, გარდა ამისა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გიორგი ჩიკვაიძე და ირაკლი პაპიაშვილი შპს ,,ელთ ბილდინგის'' ხელმძღვანელ პირებს, სხვადასხვა გამოგონილი მიზეზით, ატყუებდნენ და აწვდიდნენ იახტის საქართველოში შემოყვანის არასწორ თარიღს, აგზავნიდნენ შეცდომაში შემყვან იახტის ვიდეოებს და ლოკაციებს, სინამდვილეში კი არასდროს მიუმართავთ იახტის მწარმოებელი კომპანიისთვის ან არცერთი თეთრი არ გადაურიცხავთ მათთვის და იახტის შესაძენად ჩვენ მიერ გადახდილი თანხით გიორგი ჩიკვაიძემ და ირაკლი პაპიაშვილმა დაფარეს სხვა მევალეების მიმართ არსებული დავალიანება და მყიდველის თანხა სრულად გამოიყენეს პირადი მიზნობრიობით.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე და მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ პრობლემას ვერ მოვაგვარებდით ურთიერთმოლპარაკების გზით, ჩვენი კანონიერი ინტერესების დასაცავად მივმართეთ შესაბამის ზომებს, 2024 წლის იანვრის თვეში მივმართეთ საქართველოს პროკურატურას აღნიშნული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, ვინდაიდან, გიორგი ჩიკვაიძის და ირაკლი პაპიაშვილის ქმედებაში არსებობდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სავარაუდო დანაშაულის ნიშნები.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გიორგი ჩიკვაიძის და ირაკლი პაპიაშვილის მიმართ, მათ ბრალად ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „დ" ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გულისხმობს, რომ ირაკლი პაპიაშვილმა და გიორგი ჩიკვაიძემ ჩაიდინეს დიდი ოდენობით სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო

info@eltbuilding.ge

შპს "ელთ ბილდინგი"
სნ: 445 471 285
ქ. ბათუმი, რ.ნიჟარაძის 18
ტელ: +995 422 22 22 32

მითვისება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დღეისათვის, აღნიშნული პირების მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება, სასამართლომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ წარდგენილი ბრალით განსაზღვრული ქმედება აღნიშნული პირების მიერაა ჩადენილი (იხ. თანდართული დოკუმენტი). ჩადენილი ქმედება თავისი სიმძიმის მიხედვით წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, რომლის სანქციის ზომა და სახე არის თავისუფლების აღკვეთა ვადით 7-დან 11 წლამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი ჩიკვაიძის სატელევიზიო განცხადებები არის სიცრუე და ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ხელოვნურად მოირგოს პოლიტიკურად ჩაგრულის როლი. ეს ნარატივი აბსოლიტურად შეუსაბამოა წინამდებარე დავის მიზნებთან. აღნიშნულით იგი ცდილობს აირიდოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და საზოგადოება, მათ შორის თქვენც, შეგიყვანოთ შეცდომაში. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მისი განცხადებები არ არის გამყარებული რეალური ფაქტებითა და მტკიცებულებებით. ჩვენ მიერ წინამდებარე წერილში მითითებული თითოეული საკითხი კი ასახავს რეალობას და გამყარებულია მტკიცებულებითი სახის უტყუარი დოკუმენტებით, რაც წარდგენილია სასამართლოსთვისაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თქვენთვის ცნობის მიზანია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გქონდეთ სრული ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში მიიღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილება.

**პატივისცემით,**
**შპს „ელთ ბილდინგის" დირექტორი,**
**მამუკა მახარაძე/ხელმოწერილია,ბეჭედდასმულია/**

**09.10.2024 წელი**

---

მე, თარჯიმანი, **ინგა ორაგველიძე**, სრულად ვფლობ ინგლისურ ენას, ვიძლევი სწორი თარგმანის გარანტიას და ვასრულებ აღნიშნული დოკუმენტის **ინგლისურიდან ქართულ** ენაზე თარგმანს, რაზედაც ვაწერ ხელს.

ინგა ორაგველიძე

INGA ORAGVELIDZE TRANSLATOR 61001056608

info@eltbuilding.ge

## სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდაცხრა ოქტომბერს მე, ნოტარიუს ირმა დვალიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე საქართველო, ქალაქი ბათუმი, 26 მაისის ქუჩა №26 მომმართა თარჯიმანმა ინგა ორაგველიძემ (დაბადების თარიღი: 19.04.1977წ.; პ/ნ 61001056608; მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N 39, ბინა 42). მან წარმოადგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის AA № 0047458 დიპლომი (სარეგისტრაციო N 138; გაცემის თარიღი: 1999წ.) და მის მიერ ნათარგმნი დოკუმენტი და მოითხოვა დოკუმენტზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე თარჯიმანს განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც დადგენილია არასწორი თარგმანისათვის. ინგა ორაგველიძემ დამიდასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური და ქართული ენები და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. შემდეგ ჩემი თანდასწრებით მან პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტზე.

დოკუმენტი დამოწმებულია ერთ ეგზემპლარად. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის და საგადასახო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად ნამდვილობის დამოწმებისათვის გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 16.00 ლარი, დღგ 2,88 და 5.00 ლარი, სულ 23,88 ლარი.

ნოტარიუსი /ირმა დვალიშვილი/ ------------------

ნოტარიუსი ირმა დვალიშვილი
GEORGIA NOTARY IRMA DVALISHVILI
35001055107

აპოსტილი
8(ხდ)
შურიელდ
ნოტარიუსი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N241445791 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 29.10.2024 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ირმა დვალიშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. ბათუმი, 26 მაისის ქუჩა №26 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 577426778 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 65964603081224 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**